

## പഠിപ്പ് – HISTORY

## გიორგი გაგოშიძე

## სიახლეები ქართულ ეპიგრაფიკაში

1. ՏԵՍԹ-732, ԿՐԴԱԼՈՒՄ ՏԱՐՅԱ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ԿԵՎՈՒԹՅԱՆ (VI-VII ՏԵՍ-ԻՆ ՄՈՂՆԱ).

სტელის კუბური ფორმის ბაზა ( $75X75X67$  სმ.), რომელსაც ზედა მხარეს ამოკვეთილი აქვს სტელის ჩასამაგრებელი ბუდე (ილ. 1), აღმოჩნდა, 1968 წელს დამანისის მუნიციპალიტეტში, მდ. დამბლუტის ხეობაში არსებული ნა-სოფლარის არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელმძღვანელი: ვ. ჯაფარიძე).<sup>2</sup> ბაზა იდგა მცირე დარბაზული ეკლესის საკურთხევლის არდაბაგის პი-რას, აღსავლის სამხრეთით. ბაზის მთავარ, დასავლეთ წახნაგზე გამოკვეთი-ლია ტოლმკლავა ჯვარი, პატივის აღმნიშვნელი სასანური ბაფთებით, ბაზის ჩრდილოეთ წახნაგზე გამოკვეთილია სიცოცხლის ხე, რომლის ორსავ მხა-რეს გამოსახულია წყვილი ვერძი. კომპოზიციის ზევით ამოკვეთილია სამ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (ილ. 2) (წარწერის ფართობი:  $42X8$  სმ.; უდიდესი გრაფემა –  $2,9$  სმ.; უმცირესი გრაფემა –  $1,8$  სმ.; განკვეთილობისა

<sup>1</sup> სტატიაში წარმოდგენილი კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდები-დან“ (#FR-21-5320) ფარგლებში.

<sup>2</sup> ჯაფარიძე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან, გვ. 55; ჯაფარიძე, ართილაყვა, გათხრები დანისსა და მის მიდამოებში, გვ. 68, 69; ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, გვ. 71-81.

და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს), წარწერაა ძლიერაა დაზიანებული, გრაფე-  
მათა ნაწილი წარხოცილია, წარწერა შესწავლილი აქვს ნ. შოშიაშვილს, ნაშ-  
რომში გამოქვეყნებულია წარწერის ასლი. ნ. შოშიაშვილი წარწერას VII ს-ით  
ათარიღებს. წარწერის ნ. შოშიაშვილისეული მხედრული ტრანსლიტერაცია  
ასეთია:

[ი(ეს)უ ქ(რისტ)ე], ს(უ)ლნ[ი] დ[ა] ხ(ორ)ცნი [შე][იწყ]ალნე ამ[ა]თნი,  
რ(ომე)ლთა [ა(ღხუ)მ(ა)]რთეს ესე ჯუარი ამშ[ნ]!<sup>1</sup>

დამბლუტის ეს წარწერა ასევე დაიბეჭდა კრებულში, რომელიც დმანი-  
სის რაიონის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს ეხება, ამ წაშრომში ავტორე-  
ბი იზიარებენ ნ. შოშიაშვილისეულ წაკითხვას, დათარიღებას და წარწერის  
მისავე ასლს აქვეყნებენ.<sup>2</sup>

დამბლუტის ხეობის ნასოფლარის წარწერა ძლიერაა დაზიანებული,  
დაღუპულია სამივე სტრიქონის დასაწყისის მონაკვეთები, ამომტვრეულია  
პირველი და მეორე სტრიქონის შუა ნაწილი. სიტყვები ერთმანეთისგან არ  
არის დაცილებული, პალეოგრაფიული ნიშნებით შესაძლებელია წარწერა VI  
საუკუნის მეორე ნახევრით ან VII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღ-  
დეს. ამ ძეგლზე მუშაობისა და ასლის გადმოღების შემდგომ წარწერის შინა-  
არსი რამდენადმე განსხვავებული სახით წარმოჩნდა (ილ. 3)

... ც ს ც ნ დ . ყ ღ ღ ბ ც ყ

... უ წ რ ა ც .. ც რ ა წ ა ც

... ა ც ა ს უ ა ც ა რ ა ც ...

[იესუ ქრისტე, შეიწყალენ ვიღაცა და სან(ი?)დუხტ და შ[ვ]ილნი ა[მა]  
თნი რ(ომე)ლთა I [ალმა]რთეს ესე ჯუარი ამ[ენ]

პირველი სტრიქონის შემორჩენილი მეორე გრაფემა „ს“-„ს“-ს და შემ-  
დეგი ასონიშნის „ზ“- „დ“-ს შორის მოჩანს მკრთალი ნაკანრი, პირობითად აქ  
„ი“ გრაფემას აღვადგენ. სახელი სანდუხტ, სან(ი?)დუხტ ქართული ონომას-  
ტიკონისთვის უცნობია, სანდუხტი სომხეთში პოპულარული სახელი იყო,  
წმ. სანდუხტ დედოფალი, პირველი სომეხი მონამე ქალი, სომხეთის მეფე  
სანატრუკის ასული და წმ. თადეოზ მოციქულის მონაფეა.<sup>3</sup> VI-VII სს-ის მიჯ-  
ნა, როდესაც სავარაუდოდ დამბლუტის ბაზა შეიქმნა, პერიოდია როდესაც  
ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილება დამასრულებელ ფაზაშია;  
აღსანიშნავია, რომ სანდუხტი ქალკედონიტური ეკლესიის წნიდანად არ  
ითვლება. ხომ არ არის ეს ირიბი დასტური იმისა, რომ სტელის ბაზა ქარ-

<sup>1</sup> შოშიაშვილი, ლაპიდარული წარწერები, გვ. 94, 95.

<sup>2</sup> ოთხმეზური (და სხვა), დმანისის რაიონის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები V-XVIII სს., გვ. 81, 82.

<sup>3</sup> მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 130.

თულ-სომხურ საეკლესიო განხეთქილებამდეა (VII ს-ის დამდეგი) შექმნილი? ვფიქრობ, ამ ხანებში, შესაძლებელია ქართველი დიდებული ქალისთვის და-ერქვათ სომები წმინდანის სახელი; არ არის გამორიცხული ვიზიქროთ, რომ ბაზის წარწერაში მოხსენიებული წარმოშობით სომები სანდუხტი ქართველ დიდებულზე იყო გათხოვილი. წარწერის თავში, რომ უეჭველად სანდუხტის მეუღლის სახელი იქნებოდა ამოკვეთილი, ამას მიგვანიშნებს მრავლობითის აღმნიშვნელი სიტყვა – „ამათნი“.

2. სსმ-292, ეკლესიის წყობის, ნათალი ქვა, ცხრასტრიქონიანი წარწერით, წარმოშობა უცნობია (1163 წ.).

სწორკუთხა ფორმის ქვის ფილაზე (96X52X14 სმ.). ამოკვეთილია ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (ილ. 4, 5) (წარწერის ფართობი – 90.5X47,8 სმ., უდიდესი ასონიშანი – 8,2 სმ., უმცირესი ასონიშანი – 2,4 სმ.; ქარაგმის ნიშანი ბოლონერტილოვანი განივი გადრეკილი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტილი), ასონიშნები წაგრძელებულია, სტილიზებულია, წარწერას ახასიათებს გრაფემათა შენიაღება, ბუნშეზრდილობა, მცირე აღზევებული ასოები; დაბალი კვეთის გამო გრაფემათა კონტურები განლეულია და ძნელად იკითხება. ეს წარწერა დიდი წარწერის ბოლო ნაწილია, შემორჩენილია მხოლოდ ქტიტორის თხოვნა-სურვილი, რომ ტაძრის მომავალმა პატრონმა მისი საფლავი არ მოშალოს. სავარაუდოდ წარწერა დიდი ეკლესიის ერთ-ერთი ეკვდერის კედელზე უნდა ყოფილიყო ამოკვეთილი. წარწერა გამოქვეყნებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კატალოგში.<sup>1</sup> ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის პუბლიკაციის მიხედვით წარწერა ასე იკითხება:

„[...ღმრ]თისათ[ა], ვინც[ა] წარიკითხ[ოთ], გვედ[რებ], შენდობას[ა] ბრძანებდეთ, გვედრებ შემდგო[მად] ჩემსა [საყ]დარსა ამი[ს] [მ]პყრო[ბ] ელ[თა], [რა]თა [ა]რა შეარყიოთ სამარხო დ[ა...] ჩემი უკუნისამდე, ქრინიკონსა ტპგ სად[...]“

ჩემი წაკითხული, რამდენადმე სხვაობს ზემოთ მოტანილი ტექსტის-გან, რაც წარწერის ასლითაც დასტურდება

...რესტან: ჩანც: ჩაზადებაზ

ყრდილი: ყაჭრაზ ღაზ

ჟაზ: ჟაზრივაზ

.ჰის: სისასი: ცა

უკავაზა: აცა:

აც: უცაყადა: ს

<sup>1</sup> ბაქრაძე, ბოლქვაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 40.

Digitized by srujanika@gmail.com

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ပုဂ္ဂန်

[ქრისტე შეინყალე] თინათინ: ვინც: წ(ა)რიკითხებდ(ე)თ | შ(ე)ნდო-  
ბას: ბრძ(ა)ნებდ(ე)თ გივე|დრებ: შემდგომად | [ჩ]ემსა: ს(ა)ყდრისა:  
ამ | ჰყობელთ: რათა: | [ა]რა: შეარყიოთ: ს | ამარხო: და... | ჩემი: უ(კუ-  
ნისამდ)ე ქ(ორონი)კ(ონ)სა: | ტპგ: (1163 წ.) აკ(ურთხევ)დ(ე)ნ (?)...

წარწერა იწყება სახელით – თინათინ,<sup>1</sup> სხვა ქვათლილზე, უშუალოდ სახელის წინ სავარაუდოდ ეწერა „ქრისტე შეიწყალე“. როგორც ჩანს, ეს წარწერა ვინმე – თინათინის, სიცოცხლეშივე იქნა ამოკვეთილი, ამ ქალს სიცოცხლეში უზრუნია თავისი სამარხის გამართვაზე და მისი გარდაცვალების შემდგომ საყდრის მომავალ პატრონს შესთხოვს თავისი სამარეს ხელშეუხებლობას. სავარაუდოდ თინათინი ამ საყდრის პატრონი იყო, ე. ი. მაღლი რანგის საერო პირი, ალბათ ქვრივი და უშვილო, რადგანაც წარწერის შემორჩენილ ნაწილზე, არსად იხსენიება არც ქმრის და არც შვილის სახელი. წარწერას ზუსტი თარიღი აქვს – 1163 წელი, ეს მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წ.). ზეობის ხანაა და ჯერჯერობით სახელი – თინათინის უძველესი დადასტურებაა. XIII საუკუნით თარიღდება ლისის ცხრაკარას (ქარელის მუნიციპიალიტეტი, მდ. ოქორას ხეობა) ეკლესიის სამხრეთი კარის ტიმპანის წარწერა, რომელშიც იხსენიებიან სიაოში, ფალდონი, თინათინი.<sup>2</sup> უდაოა, შოთა რუსთაველის „ვეზენისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟის, არაბეთის მეფის როსტევანის ქალიშვილის სახელი – თინათინი, პოემის დაწერის დროისთვის (XII ს-ის მეორე ნახევარი) საქართველოში საკმაოდ პოპულარული იყო.

3. სსმ – 680, 681; ვანის ქვაბები, წარწერა კარის ტიმპანის ქვაზე (XIII ს-ის ბოლო მეტეოდი).

ტიმპანის ცენტრში გამოსახული იყო წაგრძელებული ჯვარი, რომლის მხოლოდ ქვედა მკლავილაა შემორჩენილი (ილ. 6). ჯვრის ორსავ მხარეს გე-ომეტრიული ორნამენტული მოტივებით შემკული ორი მედალიონია. ტიმპანის ქვედა მხარე – ფუძე უკავია გადაჯაჭვული წრეებისა და რომბების ორნამენტს, ეს მოჩუქურთმებული ზოლი კარის ღიობის მოჩარჩოების ზედა ნაწილი იყო. ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ჯვრის მკლავებს შორის, წარწერის დასაწყისი – დაკარგულია. ეს ტიმპანი ვანის ქვაბის მონასტრის (ასპინძის მუნიციპალიტეტი, ისტორიული პროვინცია – ჯავახეთი), გუმბა-

<sup>1</sup> სულხან-საბას განმარტებით – „თინათინი – სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს“ (სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 242).

<sup>2</sup> Меписашвили, Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии-Шида Картли, гл. 126, 127.

თიანი, მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე დარბაზული ეკლესიის და-სავლეთ კარს ედგა.<sup>1</sup>

ეკლესია და წარწერიანი ტიმპანი 1954 წელს არქეოლოგიური გათხრე-ბის შედეგად აღმოჩნდა, მასზე პირველი ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში – „სოციალისტური სოფელი“ (26. VIII. 1954),<sup>2</sup> 1965-66 წწ.-ში ხელახლა გაინ-მინდა ვანის ქვაბის აღნიშნული ნაგებობა, და საბოლოოდ დადგინდა, რომ წარწერიანი ტიმპანი მცირე ეკლესიის კუთვნილი იყო.<sup>3</sup> ეკლესიის ტიმპანის პირველივე პუბლიკაციისას გ. გაფრინდაშვილმა გამოაქვეყნა წარწერის ნა-წილის ტექსტი, აქ მოგვაქვს წარწერის მხედრული ტრანსლიტერაცია:

„მეოხ და მფარველ

მექმენ მოსავსა

შენსა ერისთავთერისთავსა

თმოგუელსა: სმჩმს“

გ. გაფრინდაშვილი წარწერას ათარილებს XIII საუკუნის ბოლო წლებით – 1283 წლამდე. 1283 წელს დიდი მიწისძვრა იყო, რომელმაც დაანგრია ვა-ნის ქვაბის მონასტერი და ეკლესია ამის შემდგომ ვერ აშენდებოდა, ასკვნის მკვლევარი; რ. კიკნაძის ვარაუდით სამცხის ეს გამანადგურებელი მიწისძვრა 1275 წელს მოხდა.<sup>4</sup> აღსანიშნვია, რომ დიდი ნგრევის მიუხედავად მონასტერს ცხოვრება გაუგრძელებია – XIV-XV სს-ით თარილდება მცირე გუმბათიანი ეკ-ლესია,<sup>5</sup> რომელიც მონასტრის ზედა იარუსზე, კლდის ექშია აგებული.

წარწერა ხუთსტრიქონიანია (ილ. 7) წარწერის ფართობია – 65X52,5 სმ., დაღუპულია წარწერის დასაწყისი, გრაფემები შენიაღებულ-გადაბმუ-ლია, ბუნშეზრდილია (უდიდესი გრაფემა – 8,5 სმ.; უმცირესი გრაფემა – 2,5 სმ.), ქარაგმა ბოლონერტილოვანი განივი, ან ირიბი ხაზია, განკვეთილობის ნიშანი სამი წერტილია, ტექსტს ასრულებს ისრის წვერის მსგავსი ნიშანი. წარწერის პირველი სტრიქონის ბოლო ნაწილის გრაფემები ისეა ერთმანეთ-ში ჩანასკვულ, ჩახლართული და ამავე დროს დაზიანებული, რომ სრული უეჭველობით ვერ ვკითხულობ, სავარაუდოდ მიმართვაა ღმრთისმშობლი-სადმი; წარწერის შემდგომი ტექსტის ჩემეული წაკითხვა ემთხვევა გ. გაფ-რინდაშვილის ამოკითხულ ვარიანტს:

<sup>1</sup> გაპრინდაშვილი, *Пустынь, как монастырский ансамбль*, გვ. 45, 46.

<sup>2</sup> გაფრინდაშვილი, ახალი აღმოჩენა ვანის ქვაბებში.

<sup>3</sup> გაფრინდაშვილი, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგბანი ვანის ქვაბში 1967 და 1968 წწ., გვ. 109.

<sup>4</sup> კიკნაძე, XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონიკი-ი-დან, გვ. 147; სამცხის მიწისძვრის ამავე თარილს იზიარებს დ. კლდიაშვილიც (კლდი-აშვილი, მიწისძვრები ძველ საქართველოში, გვ. 131-142).

<sup>5</sup> გაპრინდაშვილი, *Пустынь, как монастырский ансамбль*, გვ. 47.

....იქს შვები (?)

ჭიათურა

ჭავაშვილი

უზენა ტე

ცხოველი: სხის >

[ყოვლადწმინდაო] ღ(მრთი)ს მშ(ო)ბ(ე)ლო (?) | მეოხ დ[ა] მფ(ა)რვ(ე)ლ  
| მ(ე)ქმდ(ე)ნ მ(ო)ს(ა)ვსა | შენ(ს)ა ე(რისთავთ)ე(რისთავსა) | თმოგ(ვე)  
ლსა სმჩმს

წარწერაში იხსენიება სავარაუდოდ ღმრთისმშობლის მცირე ეკლესიის ქტიოტორი, თმოგვის ერისთავთერისთავი „სმჩმ“. თმოგველი ერისთავთერისთავი „სმჩმ“ წერილობითი წყაროებით უცნობია. გ. გაფრინდაშვილი დაქარაგმებულ სახელს „სმჩმ“-ს პირობითად ხსნის როგორც – „ს(ა)მ(უ)ჩ(ა)მ“,<sup>1</sup> ამგვარი სახელი არც თმოგველთა საგვარეულოში და არც ქართულ ონომასტიკონში არ იძებნება. როგორც ჩანს ამ გაურკვევლობის გამო სმჩმ-ის ნარწერა ვერ მოხვდა ჯავახეთის ეპიგრაფიულ კორპუსში.<sup>2</sup> აშკარაა, რომ ერისთავთერისთავი სმჩმ თმოგველთა ფეოდალური სახლის წევრია. თმოგველები მხარგრძელთა მეორე შტოს – ვარამ ზაქარიას ძის შთამომაცლები არიან. პირველი თმოგველი, სარგის ვარამის ძეა; თამარ მეფის დროს – „შეინყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი“.<sup>3</sup> შემდგომ, ისტორიაში ჩანს სარგისის ძე თაყაიდინი, მხარგრძელი, სარგის II.<sup>4</sup> თმოგვის ციხის პატრონებს – თმოგველებს ვანის ქვაბის მონასტერი XIII საუკუნის დასაწყისიდან გადაეცათ და, როგორც ჩანს, ამ მონასტერს და ციხე-ქალაქსაც XIII საუკუნის ბოლომდე ან, შესაძლებელია, XIV საუკუნის პირველ წლებამდე ფლობდნენ. XIV საუკუნის ნახევრიდან თმოგველები ჯავახეთიდან ქართლში გადასახლდნენ.<sup>5</sup> ერისთავთერისთავი სმჩმ, სავარაუდოდ, სარგის II-ის მომდევნო თმოგველი უნდა იყოს და ალბათ XIII საუკუნის მეორე ნახევარის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. ეკლესიის ტიმპანი, რომელზეც სმჩმის ნარწერაა, დეკორის – (მედალიონებში ჩართული გეომეტრიული ორნამენტები, კარის საპირეს მორთულობა) კვეთის „მშრალი“ მანერით XIII საუ-

<sup>1</sup> Гаприндашвили, Пустынь, как монастырский ансамбль, гл. 45.

<sup>2</sup> სილოგავა, ახალაძე, ბერიძე, სულავა, ყავრელიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიული კორპუსი.

<sup>3</sup> ქ. ცხ., II, гл. 55.

<sup>4</sup> ბერძენიშვილი, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, гл. 104; შ. მესხიას გარკვეული ეჭვით მიაჩნდა, რომ თაყაიდინის მეორე სახელი მხარგრძელი იყო (მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XIII საუკუნის საქართველოში, гл. 242, 318).

<sup>5</sup> კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, гл. 11; ბერძენიშვილი, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, гл. 107.

კუნის მიწურულზე მიგვანიშნებს და ძლიერ ჰგავს საფარის მონასტრის, ნმ. საბას ტაძრის ჩრდილოეთი კარის ტიმპანის გაფორმებას, რომელიც ამავე ხანისაა (XIII ს-ის 80-იანი წნ.).<sup>1</sup> ჩვენი ტიმპანის წარწერის გრაფემათა პალეოგრაფიული ნიშნებიც სწორედ XIII საუკუნის მიწურულისაა. სმრთ-ის ეკლესიის ტიმპანის დეკორის, ვანის ქვაბების ნმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთი კარიბჭის და სამრეკლოს ჩუქურთმებთან შედარებისას, გ. გაფრინდაშვილი შენიშნავს განსხვავებულ სტილსა და ოსტატობას და ასკვნის, რომ დარბაზული ეკლესია აგებულია ნმ. გიორგის ეკლესიის კარიბჭისა და სამრეკლოს შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს 1283 წლისა.<sup>2</sup> სათანადოდ უნდა ვიფიქროთ, რომ თმოგველ ერისთავთერისთავ სმრთ-საც ამ ხანებში უნდა ეცხოვორა. გ. გაფრინდაშვილი ერისთავთერისთავი სმრთ-ის აგებულ ეკლესიას გულის-ხმობს, როდესაც საუბრობს ნმ. გიორგის გუმბათიანი ტაძრის გვერდით არ-სებული XIII საუკუნის ეკლესიის ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების შესახებ, რომელთა დამახინჯებული გვამები გამოვლინდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად.<sup>3</sup> ვანის ქვაბების მსგავსი ვითარება დასტურდება ციხე-ქალაქ თმოგვშიც, რომელიც ამ მონასტრის სიახლოვეს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას მიუვალ კლდეზე აღმართული. თმოგვშიც, როგორც ჩანს, მინისძვრას ძლიერი ნგრევა გამოუწვევია; ციხე-ქალაქში სიცოცხლე მაღევე აღდგა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ დამრეც ფერდზე, შუა ნაწილში, 1303 წელს აშენდა ნმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია, რომლის აღმოსავლეთი ნანილი მცირე გამოქვაბულ კრიპტაზე დგას (სურ. 8).<sup>4</sup> ეკლესია, ციტადელის-კენ სამხრეთიდან აღმავალი ერთ-ერთი გზის პირასაა აგებული,<sup>5</sup> იგი ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია გუმბათის ფრაგმენტი, თაღ-კამარები ჩან-გრეულია. 1988 წელს წარმოებული გაწმენდითი სამუშაოს დროს, ეკლესიის დასავლეთ ნაწილში, ქვის გროვაში აღმოჩნდა მოზრდილი არქიტრავი (ზომები: 85X66 სმ.), რომელიც ეკლესიის დასავლეთი კარის ღიობს ფარავდა. არქიტრავზე ვრცელი ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი, შემორჩენილია თორმეტი სტრიქონი (ილ. 9, 10).<sup>6</sup> (წარწერის ფართობია: 77,5X58,5 სმ., დიდი

<sup>1</sup> ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 55, 56, ტაბ. 8.

<sup>2</sup> Гаприндашвили, Пустынь, как монастырский ансамбль, გვ. 47.

<sup>3</sup> გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განტი, გვ. 7.

<sup>4</sup> გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის, თმოგვის ეკლესიისა და შორეთის მონასტრის, გვ. 315-317; გაგოშიძე, თმოგვის ციხის ნმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია, გვ. 610-615.

<sup>5</sup> Мелитаври, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, გვ. 54, ილ. 82, 83.

<sup>6</sup> წარწერა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის სა-ქართველოს მუზეუმის ქვის ფონდში (წარწერა გამოქვეყნებულია: გაფრინდაშვილი, თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის სამშენებლო წარწერა, გვ. 25-28; სილო-გავა [და სხვა], ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გვ. 61, 62.)

გრაფემა: 4,5 სმ., მცირე გრაფემა: 1,8 სმ., ქარაგმის ნიშანი მოკლე ჰორიზონტალური ხაზი; განკვეთილობის ნიშანი – ორი წერტილია)

...ԵՐԵՎԱՆ...

Հ ԾԸՎ~ԾՂՎԵՒՑ~ՂԵ ՔՂՋ...

የዚህ ቁጥር የሚከተሉት አንቀጽ ስለመስጠት ይችላል

## ԵՐԵՒԱՆՔՆԵՐԸ ԿԱՐԱՎԱՐ ԵՎ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

የኢትዮጵያውያንድ ከቅርቡ ተስፋል ተስፋል

ԱՆ ԿՐԵԴԻՏ ԸՆՎԱՂ ՊՐԵՄԻԱ ՖՈՐՄԱՆ ՍԻՆ ՈՒԾՎՎԱՐԵՆ

የኅንጻውን ስራውን በመስቀል የሚያስፈልግ ነው

ԵԴՐԱԿԱՆ ՎՐԱԾ ՀԵԶՈՒՏԱԿԵ ՇՈՒՐԳԱ

የፋይናንስ ተቋማዊ ቅጂ... ከፋይናንስ ተቋማዊ ቅጂ...

[სახე]ლითა [ღმრთისათა].... |

ლო] | [შენსა მიუცთომლობ(ა)სა და ძ(ა)ლ(ა)სა შმ... | სახე მიუცთომ-  
ლად შეცოდებული დაბად[ე] | ბ(უ)ლი შ(ე)ნი სამინამ რომლისათ(უ)ის  
არა ვინა ა | რს წელისამპყრ(ო)ბელი თუინიერ შ(ე)ნ ღ(ვ)თ(ა)ების(ა)გ(ა)ნ  
| კიდე წ(მინდა)ო მარინა მ(ა)დლ(ი)სა მ(ი)ს ს(ა)ლ(ვ)თ(ო)სა რ(ომ)ლისა-  
თუ(ი)სა ს(ის)ხ | ლნი დ(ა)სთხიერ ს(ა)ხელსა შ(ე)ნსა ზ(ედ)ა აღმაშენებია  
ესე | მცირე ეკლესიაი მ(ო)ნასა შ(ე)ნსა სამინ(ა)მს მეომ მე[ყ] | ავ ორსა-  
ვე შინა ცხორებასა აღეშენ[ა ესე წმინდა] | ეკლესიაი ქ(ორონი)კ(ო)ნსა  
ფ(ე)ჭ (523) წელმრი[ფობასა ყაზა] | ნისა ... მეფობასა დავითისსა...

ტექსტში იხსენიება ვინმე სამინამ, რომელმაც აღაშენა წმ. მარინეს ეკლესია 1303 წელს, ყაზანის ხელმწიფობის, იგულისხმება ირანის ილხანთა დინასტიის მპრძანებელი ყაზან ყაენი (1295-1304 წწ.) და მეფე დავითის – დავით VIII-ეს (1293-1311 წწ.) დროს. საიდუმლოებითაა მოცული ეკლესიის ქართობრივი სამინამის პირვენება. იგი თავს წმ. მარინეს მონად აცხადებს. უეჭველია, რომ იგი ციხე-ქალაქ თმოგვის მფლობელია, რომელიც ციტადელისკენ მიმავალი გზის პირას აგებს გუმბათიან ეკლესიას. თმოგვის წმ. მარინე ქვემო ჯავახეთში, XIV საუკუნის ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა. ვფიქრობ, სამინამი მხარგრძელთა შტოს უკანასკნელი თმოგველთაგანია. საინტერესოა ვანის ქაბების წარწერაში დამონმებული სმჩნევების და სამინამის დაკავშირება. პირველ შემთხვევაში სახელი დაქარაგმებულია და გაურკვეველია მისი უღრადობა, მეორე შემთხვევაში სახელი მთლიანადაა გადმოცემული – სამინამ, ამ სახელს ასე დააქარაგმებდნენ – სმჩნევების შემთხვევები, როდესაც მსგავსი მოხაზულობის სხვადასხვა გრაფე-

მას შეცდომით წერენ, ანდაც მკვეთრად არ არის ხოლმე გამოვლენილი ამა თუ იმ ასონიშნის მახასიათებელი ნაკვთები, რაც ასონიშანთა აღრევას იწვევს; ზოგჯერ გვხვდება ასომთავრული ან უფრო ნუსხური – „ნ“-სა და „ჩ“-ს ერთმანეთის მსგავსად გამოსახვა, მაგალითად პატარა ონის წარწერში (XI ს.) გრაფემა „ნ“ მარჯვნივ წარზიდული ზედა ჰორიზონტალის გარეშეა ამოკვე-თილი რაც მას „ჩ“ გრაფემას ამსგავსებს, ანალოგიური ვითარებაა სიმონე-თის იხნას წარწერაშიც (XI ს.).<sup>1</sup> ალსანიშნავია, რომ სახელი სამინამის მსგავსი ქლერადობის სახელები დასტურდება ქართველურ საკუთარ სახელთა სია-ში – სამნა, სამნად,<sup>2</sup> სამნია,<sup>3</sup> სამინი, სამინაი;<sup>4</sup> სმჩმ-ის (სამუჩამი, სამიჩამი) მსგავსი სახელი კი ქართულ სინმადვილეში ჩემთვის უცნობია.

ვანის ქვაბის „სმჩმ“-ის და თმოგვის „სამინამი“-ს სავარაუდო იგივეო-ბის შესახებ შემდეგი არგუმენტებია:

ა. ორივე წარწერა დაახლოებით ერთ დროსაა ამოკვეთილი (XIII ს-ის მიწურული, XIV ს-ის დასაწყისი);

ბ. ორივე წარწერა ერთმანეთის ახლოს მდებარე ძეგლებზეა;

გ. ორივე წარწერა ციხე თმოგვის მეპატრონეს ეკუთვნის;

პირველ შემთხვევაში იხსენიება ერისთავთერისთავი თმოგველი, მეორეში, მართალია, სამინამის ტიტული არ ჩანს, მაგრამ ძნელი წარმოსად-გენია ციხე-ქალაქ თმოგვის ტერიტორიაზე, ციტადელის სიახლოვეს, თმოგ-ვის პატრონის გარდა სხვას აეგო გუმბათიანი ეკლესია. ვფიქრობ, სამინამი მხარებელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი ბოლო თმოგველია, იგი ეკ-ლესის წარწერაში აღნიშნავს, რომ მდ. მარინეს გარდა მისი შემწე („ჩელი-სამპურობელი“) არავინაა,<sup>5</sup> ეს პასაჟი გარკვეულად გვახსენებს თმოგველთა შეჭირვებულ მდგომარეობას XIV საუკუნის დასაწყისში, როდესაც მათ იძუ-ლებით მოუხდათ თავისი სამფლობელოს მიტოვება და ქართლში გადასახ-ლება. 1350 წლის წარწერით, ვიგებთ, რომ თმოგვს ახალი მეპატრონე ჰყავს – მეფე დავით IX-ის (1346-1360 წნ.) ვარძიელი საწოლის მწიგნობარი მურვან კითხას (ან კუთხას) ძე, თმოგვის ერთ-ერთი ზღუდის მაშენებელი.<sup>6</sup>

<sup>1</sup> სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები, გვ. 105, 115.

<sup>2</sup> ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, გვ. 184.

<sup>3</sup> სურგულაძე, აბაშიძე, ქართული ისტორიული საბუთები, გვ. 109.

<sup>4</sup> ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, გვ. 59.

<sup>5</sup> ჭელისალპურობა – შენევნა, დახმარება (აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 567).

<sup>6</sup> ბერძენიშვილი, ზემო ქართლი - თორი, ჯავახეთი, გვ. 121, 122; სილოგავა (და სხვა), ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გვ. 62.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ბაქრაძე, ბოლქვაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი – ბაქრაძე ა., ბოლქვაძე ს., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბილისი, 1953.

ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება – ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1955.

ბერძენიშვილი, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი – ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბილისი, 1985.

გაბიძაშვილი, მამაცაშვილი, ლამბაშიძე, ვანის (ვაჟანის) ქვაბები – გაბიძაშვილი ე., მამაცაშვილი მ., ლამბაშიძე ა., ვანის (ვაჟანის) ქვაბები, სმელ, თბილისი, 2007.

გაგოშიძე, თმოგვის ციხის ნმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია – გაგოშიძე გ., თმოგვის ციხის ნმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია, „ახალციხისა და ტაოკლარჯეთის ეპარქია“, სარედაქციო კოლეგია: ასათიანი ვ., ბერიძე მ., მარსაგიშვილი გ., გენაძე ნ., აბესაძე ქ., თბილისი, 2013, გვ. 610-615.

გაფრინდაშვილი, ახალი აღმოჩენა ვანის ქვაბებში – გაფრინდაშვილი გ., ახალი აღმოჩენა ვანის ქვაბებში, გაზეთი „სოციალისტური სოფელი“, ასპინძა, 1954, 26 აგვისტო.

გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი – გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბის განძი, ძმ, 6, 1966, გვ. 3-9.

გაფრინდაშვილი, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბები 1967 და 1968 წწ. – გაფრინდაშვილი გ., არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბები 1967 და 1968 წწ., სსმამ, II, 1971, გვ. 108-117.

გაფრინდაშვილი, თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის სამშენებლო წარწერა – გაფრინდაშვილი გ., თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის სამშენებლო წარწერა, „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა“, ახალციხე, 2000, გვ. 25-28.

გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის, თმოგვის ეკლესიისა და შორეთის მონასტრის – გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბის, თმოგვის ეკლესიისა და შორეთის მონასტრის არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლის 1988 წლის ანგარიში, „ასპინძა. სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე“, ახალციხე, 2000, გვ. 311-324.

კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის – კაკაბაძე ს., თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, თბილისი, 1913.

კიკნაძე, XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონილოგიდან – კინკნაძე რ., XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონილოგიდან, მაცნე, იაზეს, 1973, N4, გვ. 141-150.

კლდიაშვილი, მინისტრები ძველ საქართველოში – კლდიაშვილი დ., მინისტრები ძველ საქართველოში. ქართული საისტორიო წყაროები IV-XVIII სა., თბილისი, 2023.

მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში – მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1979.

მოვსეს ხორენაცი, ხომხეთის ისტორია – მოვსეს ხორენაცი, ხომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბილისი, 1984.

ოთხმეზური (და სხვა), დამანისის რაიონის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები V-XVIII სს. – ოთხმეზური გ., ბოჭიშვილი ა., მათითაშვილი შ., მირიჯანაშვილი ი., უდენტი ნ., ცუცქირიძე დ., ხაინდრავა ე., დამანისის რაიონის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები V-XVIII სს. (მიმოხილვა), თბილისი, 2017.

სილოგავა, დასავლეთ საქართველოს ნარჩერები – სილოგავა ვ., დასავლეთ საქართველოს ნარჩერები, ნაკვ. I, (IX-XIII სს.), ქლიბ, II, თბილისი, 1980.

სილოგავა (და სხვა), ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი – სილოგავა ვ., ახალაძე ლ., ბერიძე მ., სულავა ნ., ყავრელიშვილი რ., ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული ნარჩერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები, თბილისი, 2012.

სულხან-საბა, სიტყვის კონა – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბილისი, 1949.

სურგულაძე, აბაშიძე, ქართული ისტორიული საბუთები – სურგულაძე მ., აბაშიძე თ., ქართული ისტორიული საბუთები, XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო), ქისპ, IV, თბილისი, 2016.

ქ. ცხ., II – ქ. ცხ., II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.

ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები – ღლონტი ა., ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1986.

ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები – ჭანტურია ა., მეგრული სახელები და გვარები, თბილისი, 2006.

ჯაფარიძე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან – ჯაფარიძე ვ., ქართული ხე-

*ლოვებისა და დამნერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვე-  
მო ქართლიდან, მბ, 20, 1970.*

*ჯაფარიძე, ართილაყვა, გათხრები დმანისსა და მის მიღამოებში – ჯაფა-  
რიძე ვ., ართილაყვა ვ., გათხრები დმანისსა და მის მიღამოებში (1968 წ. მუზა-  
ობის ნინასნარი შედევები), სსმამ, II, 1971.*

**Гаприндашвили, Пустынь, как монастырский ансамбль** – Гаприндашвили Г.,  
*Пустынь, как монастырский ансамбль. Ванис-кваби – пустынь-монастырь*, სმმ,  
12, Тбилиси, 1988, გვ. 36-52.

**Мелитаури, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии** – Мелитаури  
К., *Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии*, II, Тбилиси, 1971.

**Меписашвили, Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической  
провинции Грузии-Шида Карти** – Меписашвили Р., Цинцадзе В., *Архитектура  
нагорной части исторической провинции Грузии-Шида Карти*, Тбилиси, 1975.

## New Findings in Georgian Epigraphy

### Summary

Examples of Georgian epigraphy preserved at the Simon Janashia State Museum of Georgia have been investigated in the frame of the project ‘Samples of Georgian Epigraphy from the Depositories of the Georgian National Museum’ (#FR-21-5320) funded by LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The article looks at four more or less known inscriptions kept in the museum and I think the scholarly community will find my interpretation of reading of the inscriptions interesting. The inscriptions are discussed in chronological order.

#### 1. GSM-732, base of a stela (75x75x67 cm), Damblutis Khevi (turn of the 6<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cc).

In 1968, a stone base of a stela was discovered in the interior of an early medieval church excavated in the village-site located at Damblutis Khevi, Dmanisi Municipality (archaeologist V. Japaridze). On the top it has a hole for accommodating a stela, and its side – northern facet features a badly damaged three-line *asomtavruli* inscription. The inscription was studied by historian N. Shoshiashvili. According to his reading, the text of the inscription says about having mercy on those who erected the cross. The beginning of the first line of the inscription is damaged; the second line provides a female name ‘Sandukht’, and the inscription reads as follows: [Jesus Christ, have mercy on *someone*] and Sandukht and their children who erected this cross, amen’. The name ‘Sandukht’ is unknown to Georgian onomasticon, while it was popular in Armenia. St. Queen Sandukht, the first Armenian female martyr, was the daughter of King Sanatruk of Armenia and a disciple of St. Thaddeus the Apostle (see: Movses Khorenatsi, ‘History of Armenia’). St. Sandukht is not recognized as a saint of the Chalcedonic church. The turn of the 6<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries, which is a presumable date of making the base of Dambluti, is the time when the schism between Georgian and Armenian churches was in its final phase. In my opinion, around this period it was still possible to give a Georgian noble woman the name of an Armenian saint, or it can be presumed that the inscription on the base mentions ethnically Armenian Sandukht married to a Georgian nobleman.

#### 2. GSM-292, a hewn stone of the church masonry (96x52x14 cm) with a nine-line inscription; origin unknown (1163).

The beginning of the accurately dated *asomtavruli* inscription is lost. The first surviving word is a female name ‘Tinatin’, which is clearly visible in the copy made by

me. The following part of the inscription is read in the same way as it is in the catalog published in 1953 by A. Bakradze and S. Bolkvadze. In the inscription the donor implores the future owner of the church not to disturb his grave. Presumably, Tinatin was the owner of the church, i.e., a high-ranking secular figure, probably widowed and childless, as there is no mention of a husband or a child in the extant part of the inscription. The inscription is accompanied by an accurate date – the year 1163, which is the period of the reign of King Giorgi III (1156-1185) and as yet the earliest evidence of the name ‘Tinatin’. The inscription on the tympanum of the door of Lisi Tskhrakara (Kareli Municipality, The Ozhora Gorge, presently an occupied territory), dating to the 13<sup>th</sup> century, mentions a Tinatin along with other names. There is no doubt that ‘Tinatin’, the name of the daughter of King Rostevan of Arabia and the main character of Rustaveli’s ‘The Knight in the Panther’s Skin’, was pretty popular at the time the poem was written (second half of the 12<sup>th</sup> century).

### 3. GSM – 680, 681; Vanis Kvabebi, inscription on the tympanum of the door.

The inscription was discovered as a result of the archaeological excavations carried out at Vanis Kvabebi in 1954. It was first published by art historian G. Gaprindashvili. The inscription mentions the grand duke of Tmogvi, whose cryptic name is *Smchm*. The inscription dates to the final years of the thirteenth century – prior to 1283. The huge earthquake which occurred in 1283 destroyed the monastery of Vanis Kvabebi, which means that the church could not have been built following this calamity. From the beginning of the 13<sup>th</sup> century, successors of Varam, son of Zakaria, the second branch of the Mkhargrdzelis owned the city-fortress of Tmogvi, situated near Vanis Kvabebi and the monastery was also under their ownership. They probably possessed Tmogvi Fortress and the monastery till the end of the 13<sup>th</sup>, or the beginning of the 14<sup>th</sup> century, while from the second half of the century rulers of Tmogvi left Javakheti to settle down in Kartli.


Ruins of a domed church were excavated on the territory of Tmogvi Fortress in 1988, which yielded a twelve-line inscription (the inscription is kept at Simon Janashia State Museum of Georgia). The inscription says that the church is dedicated to St. Marine and was built in 1303 by a Saminam. Sources provide no information about a historical person of this name, but he was definitely an owner of Tmogvi Fortress. In my opinion, the ‘*Smchm*’, documented in the inscription of Vanis Kvabebi and the ‘Saminam’ of the church of St. Marine are the same person. Georgian epigraphic monuments reveal cases when *asomtavruli* and *nuskhuri* graphemes ‘n’ and ‘ch’ are mistakenly written due to their similar outline. I consider that there should be ‘*Smmn*’ instead of ‘*Smchm*’ in the inscription of Vanis Kvabebi. Apparently, Saminam is one of the last rulers of the feudal house of Mkhargrdzelis who owned Tmogvi Fortress.




სურ. 1 (Photo 1)




სურ. 2 (Photo 2)



სურ. 3 (Fig. 3)




სურ. 4 (Photo 4)



სურ. 5 (Fig. 5)



სურ. 6 (Photo 6)




სურ. 7 (Fig. 7)



სურ. 8 (Photo 8)



სურ. 9 (Photo 9)



სურ. 10 (Fig. 10)

## **ილუსტრაციები:**

1. დამბლუტის ხევი, სტელის ბაზა.
2. დამბლუტის ხევი, სტელის ბაზა, წარწერა.
3. დამბლუტის ხევი, სტელის ბაზა, წარწერის მონახაზი.
4. თინათინის წარწერა.
5. თინათინის წარწერის მონახაზი.
6. ვანის ქვაბები, ეკლესიის კარის ტიმპანი წარწერით.
7. ვანის ქვაბები, წარწერის მონახაზი.
8. თმოგვი, წმ. მარინეს ეკლესია, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
9. თმოგვი, წმ. მარინეს ეკლესია, კარის არქიტრავის წარწერა.
10. თმოგვი, წმ. მარინეს ეკლესია, კარის არქიტრავის წარწერის მონახაზი.

## **Illustrations:**

1. Damblutis Khevi, base of the stela.
2. Damblutis Khevi, base of the stela; inscription.
3. Damblutis Khevi, the base of the stela; outline of the inscription.
4. Inscription with Tinatin.
5. Outline of the inscription of Tinatin.
6. Vanis Kvabebi, tympanum of the church door with the inscription.
7. Vanis Kvabebi, an outline of the inscription.
8. Tmogvi, St. Marine Church, view from north-west.
9. Tmogvi, St. Marine Church, inscription of the door architrave.
10. Tmogvi, St. Marine Church, an outline of the door architrave.

სურ. 1, 2, 9 გადაიღო მ. კილაძემ; სურ. 4, 6 – ჯ. ჩხვიმიანმა; სურ. 8 – გ. გაგოშიძემ.  
წარწერათა ასლები გ. გაგოშიძის მიერაა შესრულებული.

Photographs: 1, 2, and 9 by M. Kiladze; 4 and 6 by J. Chkhvimiiani; 8 by G. Gagoshidze.  
The Copies of the inscriptions were made by G. Gagoshidze.